1/28/2013

საჯარო სამსახურის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ქრონოლოგიური პრინციპით

(2004–2012 წწ.)

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი

2004 წელი

ცვლილების თარიღი: *13.02.2004*

- სახელმწიფო მოსამსახურეს მიეცა სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის უფლება კანონმდებლობის შეზღუდვების გათვალისწინებით (64-ე მუხლის მე-2 პუნქტი)

ცვლილების თარიღი: *24.02.2004*

- სახელმწიფო მოსამსახურეს აეკრძალა საქმიანობა სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმართველობის დაწესებულებაში, მაგრამ მიეცა მუშაობის უფლება იმავე დაწესებულებაში (64-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები)

ცვლილების თარიღი: *24.06.2004*

- საჯარო სამსახურში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისათვის შეიქმნა საჯარო სამსახურის ბიურო. ამავე ცვლილებით შეიქმნა პრეზიდენტის სათათბირო ორგანო – საჯარო სამსახურის საბჭო (128-ე და 128^1 მუხლები)

„საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი

<u>2005 წელი</u>

ცვლილების თარიღი: *17.06.2005*

- დადგინდა, რომ საჯარო მოსამსახურეთათვის მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო პარლამენტის წევრთათვის და პარლამენტის აპარატის მოხელეებისათვის – პარლამენტის თავჯდომარე (39[1]–ე მუხლი)

ცვლილების თარიღი: *23.12.2005*

- განისაზღვრა, რომ ხელფასი მოიცავს თანამდებობრივ სარგოს და პრემიას. დადგენილი პროცენტული დანამატები გაუქმდა და დანამატები განისაზღვრა მხოლოდ შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში (37–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტები)

- გაუქმდა სტაჟის მიხედვით დამატებითი შვებულების მიცემის წესი (42–ე მუხლის მე–2 პუნქტი)

- გაუქმდა სტაჟის მიხედვით კომპენსაციის გაცემის წესი დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო. ყველა საჯარო მოხელის კომპენსაცია განისაზღვრა 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით (109–ე მუხლი)

„საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი

<u>2006 წელი</u>

ცვლილების თარიღი: *28.04.2006*

- ცვლილების თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა და ქვედა ზღვრებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი (მე–9 მუხლი)

ცვლილების თარიღი: *23.06.2006*

- განისაზღვრა ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, დახმარებისა და კომპენსაციის მიცემის წესი (ჩამატებულ იქნა 41^1 მუხლი)

ცვლილების თარიღი: *29.12.2006*

- დადგინდა, რომ სამსახურში შესვლისას და შემდგომ ყოველწლიურად საჯარო მოსამსახურე ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს წარუდგენს თავისი და ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ დეკლარაციას (მე–18 მუხლს დაემატა შესაბამისი პუნქტი)

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი

2007 წელი

ცვლილების თარიღი: *22.06.2007*

- კანონის 49–ე მუხლში შევიდა ცვლილება და დადგინდა, რომ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით მოსამსახურეზე თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით (ცვლილებამდე გაიცემოდა ათი წლის სამსახურებრივი სარგო)

- განისაზღვრა, რომ მოსამსახურეს, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით თავდასხმის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება, რის შედეგადაც ცნობილ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად ან დასახიჩრდა, ეძლევა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 5 000 ლარისა (ამ შემთხვევაშიც ანაზღაურება ხდებოდა სამსახურებრივი სარგოს მიხედვით, დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით)

„საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი

2008 წელი

ცვლილების თარიღი: *19.03.2008*

- განისაზღვრა, რომ ორსულობის პერიოდში ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების გამო გაცდენილი სამუშაო საათები ითვლება საპატიოდ გამოკვლევების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში. მოცემულ გარემოებაში მოსამსახურეს უნარჩუნდება ხელფასი (41[1] მუხლის მე–5 პუნქტი)

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი

2009 წელი

ცვლილების თარიღი: *12.06.2009*

- განისაზღვრა ქცევის ზოგადი წესები საჯარო მოსამსახურეთათვის (ჩაემატა VI[1] თავი)

ცვლილების თარიღი: *04.12.2009*

- ავტობიოგრაფიის ალტერნატივად განისაზღვრა CV (25-ე მუხლის პირველი პუნქტი)
- გაუქმდა საჯარო სამსახურში მიღებისას საგადასახადოდან ქონებრივი დეკლარაციის ცნობის წარდგენის ვალდებულება (25-ე მუხლის პირველი პუნქტი)
- გაუქმდა შრომის წიგნაკების და ნამსახურების ნუსხის წარმოების ვალდებულება ცვლილებების ამოქმედებამდე გაცემული შრომის წიგნაკები ინარჩუნებენ ძალას (ამოღებულ იქნა XIII თავი)

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი

2010 წელი

ცვლილების თარიღი: *11.07.2010*

- გაუქმდა მოხელეთა რეზერვი – ეს უკანასკნელი იქმნება მხოლოდ კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში
- რეზერვში ყოფნის დრო სამსახურის სტაჟში ჩაითვლება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში (113–ე მუხლის პირველი პუნქტი)
- დრო, რომლის განმავლობაშიც პირი ჩარიცხული იყო მოხელეთა რეზერვში ამ ცვლილებების ამოქმედებამდე არსებული წესის შესაბამისად, ჩაითვლება სამსახურის სტაჟში (113–ე მუხლის მე–2 პუნქტი)

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი

2011 წელი

ცვლილების თარიღი: *17.05.2011*

- საჯარო სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტაციიდან მოხდა ავტობიოგრაფიის ამოღება და დარჩა Curriculum Vitae (CV) (25-ე მუხლის პირველი პუნქტი)

- დადგინდა, რომ კონკურსის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს სამუშაოს აღწერილობას (31–ე მუხლის მე–2 პუნქტი)

- კონკურსი საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე ცხადდება შესაბამისი სახაზინო-საბიუჯეტო დაწესებულების მიერ საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge საშუალებით. დაწესებულებებმა, ასევე, შეიძლება მიმართონ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს სურვილისამებრ. ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებები კი, ინფორმაციას არსებული ვაკანტური პოზიციის თაობაზე განათავსებენ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge) და შესაბამის ბეჭდვით ორგანოში (31–ე მუხლის პირველი პუნქტი). მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა მარტივად მოიძიონ ინფორმაცია ვაკანსიის თაობაზე და განაცხადი გააკეთონ ელექტრონული ფორმით
- კანდიდატებისთვის განცხადების შეტანის ვადად განისაზღვრა მინიმუმ ათი დღე (31–ე მუხლის პირველი პუნქტი)

- საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა ჩატარდება კონკურსის გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს ათი დღის ვადაში (31–ე მუხლის მე–3 პუნტი)

„საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი

2012 წელი

ცვლილების თარიღი: *22.05.2012*

- განისაზღვრა, რომ სამსახურში მიღებისას პირმა უნდა წარადგინოს ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებისა და ამ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტის არარსებობა (მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე” ქვეპუნქტი)

- სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად განისაზღვრა საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარების ფაქტზე პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრონციპით შემოწმების შედეგად საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებათა მოხმარების დადასტურება, გარდა მოხელის მიერ ამ ნივთიერებათა სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა (98-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ” ქვეპუნქტი)

ცვლილების თარიღი: *12.06.2012*

- დადგინდა, რომ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი

2012 წელი

ცვლილების თარიღი: *29.06.2012*

- ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის გამოცხადება სავალდებულო გახდა (29-ე მუხლის პირველი პუნქტი)

- შეიზღუდა პირის დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესაძლებლობა (დამატებულ იქნა 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი)

- კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პროცედურები, ასევე გავრცელდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, გარდა იმ სსიპ-ებისა, რომლებიც ეწევიან კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას (დამატებულ იქნა 11[1] მუხლი)

- განისაზღვრა, რომ კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. 2014 წლის იანვრამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადების წარდგენა შესაძლებელია არაელექტრონული ფორმით, შესაბამისი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართზეც (32-ე მუხლი, 134 [3] მუხლი)

- მოიხსნა შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც უფრო მაღალ თანამდებობაზე შეიძლება წამოყენებულ იქნეს მხოლოდ ის მოხელე, რომელიც დაკავებულ თანამდებობაზე მსახურობს 6 თვე მაინც (ამოღებულ იქნა 77-ე მუხლის პირველი პუნქტი)

- გაუქმდა საჯარო მოსამსახურის მიერ შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის შემოსავლების სამსახურისათვის წარდგენის ვალდებულება (ამოღებულ იქნა მე-18 მუხლის 1-3 პუნქტები)

ცვლილების თარიღი: *29.06.2012*

- განისაზღვრა, რომ უკვე დანიშნულ დროებით მოვალეობის შემსრულებელთათვის ვადის ათვლა დაიწყება არა 1 იანვრიდან, არამედ 1 ივლისიდან

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ “ საქართველოს კანონი

2004 წელი

ცვლილების თარიღი: *13.02.2004*

- ცვლილებების მიხედვით, კანონს დაემატა დაუსაბუთებელი ქონების, მისგან მიღებული შემოსავლების და ქონებრივი წარმომავლობის დასაბუთების განმარტება (მე–3 მუხლის მე–4 და მე–5 პუნქტები)

- აიკრძალა თანამდებობის პირის ზედამხედველობის ქვეშ არსებულ თანამდებობაზე ახლო ნათესავის დანიშვნა, კონკურსის წესით დანიშვნის გარდა (მე–13 მუხლის მე–7 პუნქტი)

- თანამდებობის პირის განთავისუფლების საფუძვლებს თანამდებობრივი შეუთავსებლობის გარდა დაემატა დაუსაბუთებელი ქონების არსებობა (მე–13 მუხლის მე–10 პუნქტი)

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ “ საქართველოს კანონი

2005 წელი

ცვლილების თარიღი: *13.05.2005*

- ცვლილების მიხედვით დადგინდა, რომ დეკლარაციის ასლის მისაღებად საჭიროა კანონით დადგენილი საფასურის გადახდა (მე–19 მუხლის მე–3 პუნქტი)

2007 წელი

ცვლილების თარიღი: *08.06.2007*

- განისაზღვრა პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ დეკლარაციის შევსების ვალდებულება (მე–14 მუხლი)

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ “ საქართველოს კანონი

2008 წელი

ცვლილების თარიღი: *02.10.2008*

- ცვლილების თანახმად, საფინანსო დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია გაერთიანდა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან და საფინანსო დეკლარაცია საერთოდ გაუქმდა (ამოღებულ იქნა მე–16 მუხლი)

- მე–20 მუხლით განისაზღვრა, რომ დადგენილ ვადაში დეკლარაციის წარუდგენლობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით (გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი – განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ)

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი

2009 წელი

ცვლილების თარიღი: *27.03.2009*

- განისაზღვრა, თუ ვინ ჩაითვლება საჯარო მოსამსახურედ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისთვის (2[1] მუხლი)
- განისაზღვრა (კანონის მიზნებისთვის) სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრებულ დაწესებულებათა ნუსხა (2[2] მუხლი)
- კანონის გარკვეული ნორმები (კორუფცია, ინტერესთა შეუთავსებლობა, საჩუქარი), რომლებიც მხოლოდ თანმდებობის პირებს ეხებოდა საჯარო მოსამსახურეებზეც გავრცელდა
- ცვლილებები შევიდა საჩუქართან დაკავშირებულ მუხლებში, უფრო დეტალურად განისაზღვრა, თუ რა არის საჩუქარი, რა არ ჩაითვლება საჩუქრად და სხვა
- შემოღებულ იქნა მახილებელთა დაცვის ინსტიტუტი (ჩაემატა V[1] თავი)

ცვლილების თარიღი: *12.06.2009*

- გაუქმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო და მის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საჯარო სამსახურის ბიურო (ამოქმედდა 2009 წლის 1 აგვისტოდან)

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი

2009 წელი

ცვლილების თარიღი: *04.12.2009*

- შეივსო თანამდებობის პირთა ნუსხა, ეკონომიკური ინტერესების გაცხადებისა და გამოქვეყნების საკითხებში თანამდებობის პირებად, ასევე, განისაზღვრნენ ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებიც, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (მე–2 მუხლი)

- თანამდებობის პირებს გაეზარდათ თანამდებობაზე გამწესებიდან და გათავისუფლებიდან დეკლარაციის შევსების ვადა. ცვლილებებამდე აღნიშნული ვადა იყო ერთი თვე, ხოლო ცვლილებების შემდეგ გახდა 2 თვე (მე–14 მუხლი)

- საჯარო სამსახურის ბიუროს მოეხსნა ვალდებულება თანამდებობაზე გამამწესებელ ორგანოს გადასცეს შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლი (მე–14 მუხლი)

- გაუქმდა დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში ბიუროს უფროსის მიერ დამატებითი ათდღიანი ვადის მინიჭების წესი
საჯარო სამსახურის ბიურო თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენისათვის გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 20 დღისა აფრთხილებს პირს ამის შესახებ და განუმარტავს მას დეკლარაციის დროულად წარუდგენლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას (მე–14 მუხლი)

- განხორციელდა ***დეკლარირების ელექტრონული*** სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებული ცვლილებები

- განისაზღვრა, რომ საჯაროა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მოცემული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა საიდუმლო გრაფის, დეკლარაციის პირველ გვერდზე მითითებული პირადი ნომრის, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და პირადი ტელეფონის ნომრისა (მე–19 მუხლის პირველი პუნქტი)

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონი

2010 წელი

ცვლილების თარიღი: *21.07.2010*

- თანამდებობის პირი დეკლარაციას ავსებს წელიწადში მხოლოდ ერთხელ (მე–14 მუხლის მე–8 პუნქტი)

- პირის თანამდებობაზე გამწესების ან თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების კანონით დადგენილ ვადაში საჯარო სამსახურის ბიუროსათვის მიუწოდებლობა, გამოიწვევს დაწესებულების საკადრო სამსახურის უფლებამოსილი პირის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებას (მე–14 მუხლის მე–10 პუნქტი)

- შეიქმნა უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭო (მუხლი 12^1)

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონი

2012 წელი

ცვლილების თარიღი: *29.06.2012*

- თანამდებობის პირებად დამატებით განისაზღვრნენ:

✓ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მოადგილეები და მათთან გათანაბრებული პირები
✓ საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, დეპარტამენტის უფროსები და მათთან გათანაბრებული პირები
✓საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, კომისიათა თავმჯდომარეები და საკრებულოს მდივნები
✓თვითმმართველი ქალაქის მერის მოადგილეები
✓მუნიციპალიტეტისა და ქალაქის რაიონის გამგებლის მოადგილეები

მადლობა და დაგვიმეგობრდით სოციალურ ქსელებში!

facebook.com/CIVILSERVICEBUREAU

twitter.com/CSBGOVGE

youtube.com/CIVILSERVICEBUREAU

flickr.com/CSBGOVGE

www.csb.gov.ge

www.hr.gov.ge

www.declaration.gov.ge